2025 წლის ანგარიში

I. ანგარიშის შესახებ

წინამდებარე შეფასების ანგარიში (შემდგომში - ანგარიში) წარმოადგენს 2025 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) საქმიანობის შემაჯამებელ დოკუმენტს, რომელიც ასახავს 2025 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ/მონაწილეობით განხორციელებულ საქმიანობას, ეყრდნობა წლის განმავლობაში განხორციელებული გარე და შიდა შეფასებისა და 2024 წლის შემაჯამებელ ანგარიშში და ბტუ-ს თვითშეფასების ანგარიშში იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი ასპექტებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგებს, ასევე, მოიცავს ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ანგარიშის საფუძვლები: 1. შიდანორმატიული დოკუმენტები: „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“ (FD-04.2018.G); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (ND-10.2018.G); 2. გამოკითხვების და გასაუბრების შედეგები; 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გეგმიური მონიტორინგის შედეგები - სტრუქტურული ერთეულების მუშაობის გეგმიური მონიტორინგების შედეგები და სტრუქტურული ერთეულების თვითშეფასებების ანალიზი; 4. 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური და 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულები შემაჯამებელი მონიტორინგის შედეგები; 5. ბტუ-ს ინსტიტუციური შეფასება (ავტორიზაციის სტანდარტების ჭრილში, მათ შორის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის პროცესის მიზნებისათვის) და რისკების შეფასება; 6. საგანმანათლებლო პროგრამების სემესტრული (ყველა მოქმედი და ახალი პროგრამისთვის) და კომპლექსური (061 კლასტერის პროგრამებისთვის; 041 კლასტერის მარკეტინგის სფეროს ახალი სამაგისტრო პროგრამებისთვის) შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის (MD-08.2019.G) შესაბამისად; ბტუ-ში განხორციელებული გარე შეფასებების შედეგები (აკრედიტაციის და კონტინგენტის გაზრდის პროცესში ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში).

II. საანგარიშო პერიოდში სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საანგარიშო პერიოდში (01.2025-12.2025) ბტუ-ში განხორციელდა გარე შეფასებები (1. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა - 061 კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; 041 კლასტერის მარკეტინგის სფეროს ახალი სამაგისტრო პროგრამები; ახალი საბაკალავრო პროგრამა „ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში“; 2. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შემოწმება - 041 კლასტერის საბაკალავრო პროგრამები „ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)“, „ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)“ და „ციფრული მარკეტინგი“; 3. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა - ბტუ-ს ინსტიტუციური შეფასება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში) და შიდა შემოწმებები, რომლებიც მოიცავდნენ ბტუ-ს საქმიანობის შეფასებას ინსტიტუციურ დონეზე და სტრუქტურული ერთეულების დონეზე (ივლისი, ნოემბერი-დეკემბერი), მათ შორის განვითარების გეგმის შესრულების კვარტალურ შესწავლას. ბტუ-ში მოქმედი ფუნდამენტური დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“ თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსახორციელებელ საქმიანობას მიეკუთვნებოდა სამსახურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები:

1. ბტუ-ს ინსტიტუციური შეფასება - ბტუ-ს ინსტიტუციური შეფასება ავტორიზაციის სატანდარტების ჭრილში - რისკების, მათი ალბათობისა და მნიშვნელობის იდენტიფიცირება და შეფასება, დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება, გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. შეფასება ჩატარდა ESG-2015-ის სტანდარტების, ISO 9001:2015 „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები“ და ISO 31000 „რისკების მენეჯმენტი“ საერთაშორისო სტანდარტების, ავტორიზაციის სტანდარტების და ბტუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს საფუძველზე. ასევე, დამატებით განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტების ჭრილში ბტუ-ს ინსტიტუციური შეფასება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით;
2. ბტუ-ს რისკების შეფასება - ბტუ-ში არსებული და შესაძლო გარე და შიდა რისკების (კატეგორიები: სტრატეგიული, ოპერაციული და ფინანსური რისკები, ცოდნის მართვა, შესაბამისობა) იდენტიფიცირება, მათი ალბათობის, რეიტინგის (მნიშვნელობის) და ბტუ-ს საქმიანობაზე გავლენის შეფასება, პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები“, საერთაშორისო სტანდარტის ISO 31000 „რისკების მენეჯმენტი“ და ბტუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს საფუძველზე;
3. ბტუ-ს მოქმედი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების და მოქმედი ფორმების გეგმიური რევიზია, ახალი მარეგულირებელი/მეთოდოლოგიური დოკუმენტების და ფორმების შემუშავება - განხორციელდა ბტუ-ს მოქმედი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების და მოქმედი ფორმების გეგმიური შემოწმება, წლის განმავლობაში ახალი დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა (წლის განმავლობაში, საჭიროებისამებრ), მოქმედ დოკუმენტებში ცვლილებების პროექტების მომზადება და აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა (ყველა ახალი დოკუმენტი და ცვლილება არის დამტკიცებული, ძალაში შესული და სათანადოდ აღრიცხული. ყველა მოქმედი დოკუმენტი განთავსებულია ბტუ-ს ვებგვერსზე);
4. საჯარო ინფორმაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
5. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა - ბტუ-ში მოქმედი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელდა 2025-2026 წლისთვის ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა საპროგნოზო რაოდენობების დადგენა, 2025-2026 წლის ჩარიცხვების ანალიზი და 2018-2019, 2019-2020, 2020-2021, 2021-2022, 2022-2023, 2023-2024, 2024-2025 აკადემიური წლების შედეგებთან შედარება, ასევე თითოეული პროგრამისთვის - შედეგების და ტენდენციების შემაჯამებელი ანალიზი;
6. პერსონალის შემადგენლობის და რაოდენობის დაგეგმვა - ბტუ-ში მოქმედი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელდა ბტუ-ს ადმინისტრაციული (ასევე, დამხმარე), ასევე საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობების ანალიზი, ათვლის წერტილებთან (სამიზნე ნიშნულებთან) შედარება, სტუდენტთა რაოდენობების გათვალისწინებით ბტუ-ს პერსონალის (საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში - თითოეული მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის), ასევე ადმინისტრაციული პერსონალის საპროგნოზო რაოდენობების განსაზღვრა;
7. 2025 წლის ბტუ-ს განვითარების გეგმის შესრულების კონტროლი - განხორციელდა ბტუ-ს ერთლიანი (2025) სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური (I, II, III, IV) შედეგების შესწავლა-შეფასება, შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები. მიმდინარეობს 2025 წლის შედეგების შეჯამება;

8. გეგმიური შიდა მონიტორინგები - წლის განმავლობაში ჩატარებული ორივე შემოწმების შემთხვევაში შეფასდა ბტუ-ს საქმიანობა (ინსტიტუციურ დონეზე და სტრუქტურული ერთეულების დონეზე), შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები;
9. სამსახურის ინიციატივით ჩატარებული პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა;
10. დაინტერესებული მხარეებთან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამების განმახორციელებლების) შეხვედრები მათი მოსაზრებების და დამოკიდებულებების შესწავლის მიზნით;
11. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით - თითოეული მოქმედი პროგრამისთვის შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა როგორც 2025-2026 აკადემიური წლის მონაცემები, ისე რამდენიმე წლის განმავლობაში ჩარიცხვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, პროგრამით სწავლის გაგრძელების, მობილობით გადასვლის და გადმოსვლის, პროგრამით სწავლის დასრულების მაჩვენებლები, დინამიკა და ტენდენციები;
12. სამსახურის ჩართულობა ბტუ-ს გარე შეფასებისთვის მომზადების და განხორციელების პროცესში (თვითშეფასების მომზადება, პროცესის ორგანიზება, უკუკავშირის უზრუნველყოფა და სხვ.);
13. მოქმედი პროგრამების მოდიფიცირება - განხორციელდა: 1) ყველა საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებები - დაემატა თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსი „ქართული ენის სპეციალური კურსი“ (საფუძველი: კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა), ასევე დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები, რამაც გაზარდა არჩევანის შესაძლეებლობა; 2) კლასტერული (041) აკრედიტაციის პროცესში პროგრამაზე („ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)“, „ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)“,“ციფრული მარკეტინგი“) გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით გარკეული ცვლილებები განხორციელდა როგორც პროგრამის სასწავლო გეგმაში, ასევე პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში - ინფორმაცია ცვლილებების შესახებ წარედგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში, ექსპერტების მიერ რეკომენდაციების შესრულების შესწავლის პროცესი დასრულებულია - რეკომენდაციების შესრულება დადასტურებულია;
14. კლასტერული აკრედიტაციისთვის (041 – „ბიზნესი და ადმინისტრირება“) პროგრამების და დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილეობა - განხორციელდა/მიმდინარეობს პროცესზე დაკვირვება, ინფორმაციული და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა (2024 წელს განხორციელდება პროგრამების შეფასება ბტუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების მეთოდოლოგიით გამოყენებით, მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, პროგრამის ძლიერი, სუსტი მხარეების, ასევე განვითარების შესაძლებლობების და რისკების იდენტიფიცირება, დასკვნის და რეკომენდაციის მომზადება, აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შეჯამება და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარისში ასახვა);
15. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება - განხორციელდა როგორვ მოქმედი, ისე ახალი პროგრამების შიდა სემესტრული და 061 კლასტერის პროგრამების და 041 კლასტერის - მარკეტინგის სფეროს ახალი სამაგისტრო პროგრამების - კომპლექსური შეფასება. ბტუ-ში მოქმედი უნიფიცირებული ფორმების გამოყენებით შემოწმდა მოქმედი პროგრამების კურიკულუმები და სილაბუსები, ასევე, შესწავლილ იქნა პროგრამების რესურსებით (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური) უზრუნველყოფა. აკრედიტაციაზე წარსადგენი პროგრამების შემთხვევაში, ბტუ-ს პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგიის და აკრედიტაციის სტანდარტების ჭრილში, განხორციელდა მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, პროგრამების ძლიერი, სუსტი მხარეების, ასევე განვითარების შესაძლებლობების და რისკების იდენტიფიცირება, დასკვნის და რეკომენდაციის მომზადება, აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმატში სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შეჯამება, აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარისში ასახვა და აკრედიტაციის მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა - დღეისათვის 041 კლასტერის მარკეტინგის სფეროს ახალ სამაგისტრო პროგრამებზე წარმოება დასრულებულია (პროგრამებს მენიჭათ აკრედიტაცია, რეკომენდაციები გაცემული არ არის); 061 კლასტერის 2 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში მიმდინარეობს აკრედიტაციის პროცესი (განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი). ასევე, 2025 წელს დასრულდა ახალი საბაკალავრო პროგრამის „ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში“ გარე შეფასების პროცესი (პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია);
16. პროგრამების კომპონენტების სილაბუსების ანალიზი - შემოწმდა ყველა მოქმედი პროგრამის სასწავლო კომპონენტების სილაბუსები (ტექნიკური მხარე და სტანდარტებთან შესაბამისობა);
17. შემოწმებების შედეგების ფორმალიზება - სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების და შეფასებების მონიტორინგის შედეგები, ბტუ-ს შეოწმების შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები და საანგარიშო პერიოდში შეფასების შედეგებთან დაკავშირებუთ ანგარიშების/საინფორმაციო მასალები აისახა შესაბამისი დოკუმენტებში/საინფორმაციო მასალებში/ანგარიშებში/სხვ, რომლებიც დაერთო შესაბამის სამსახურებრივ ბარათებს და შესწავლისა და რეაგირებისთვის წარედგინა ბტუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის დეკანს (პასუხისმგებლობის სფეროს შესაბამისად), ასევე შეფასების სუბიექტებს (გარდა მასალებისა, რომლებიც შეიცავენ არასაჯარო ინფორმაციას, არ ექვემდებარება სხვა მხარეებზე გადაცემას ბტუ-ს რექტორის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე);
18. 2025 წელს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შეჯამება - წინამდებარე ანგარიშის შედგენა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების სქემა

კონტროლის ფორმა და კომპონენტი	ჩატარებაზე, პირველადი მონაცემების დამუშავებაზე, შეუსაბამობების / გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე, გაუმჯობესების მექანიზმების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
შიდა მონიტორინგი. მათ შორის:	
სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა (წელიწადში 2-ჯერ, 6 თვის შუალედით)	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სამოქმედო გეგმის შესრულება (წელიწადში 4-ჯერ, კვარტალურად)	
რისკების შეფასება (წელიწადში ერთხელ)	
ინსტიტუციურ დონეზე შეფასება ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების ჭრილში (წელიწადში ერთხელ)	
საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება 1. სემესტრული (წელიწადში 2-ჯერ (სემესტრის დაწყებამდე);	

2. კომპლექსური (2 წელიწადში ერთხელ)	
ბტუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტების რევიზია (წელიწადში ერთი)	
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
თვითშეფასებები. მათ შორის:	
ბტუ-ს გეგმიური თვითშეფასება (ყოველ წელს, წლის ბოლოს)	თვითშეფასების ჯგუფი
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიში (ყოველ წელს, წლის ბოლოს)	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის თვითშეფასება	შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
გეგმიური შეფასებები. მათ შორის:	
1. საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასება	
საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: პროგრამების ხელმძღვანელები, ბიბლიოთეკის სამსახური, საფინანსო სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სემესტრის დაწყებამდე პროგრამის მონიროტინგის პროცესში)
საგანმანათლებლო პროგრამები	1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სემესტრის დაწყებამდე პროგრამების მონიროტინგის პროცესში) 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ახალი პროგრამების შემთხვევაში - პროგრამების შემუშავების და ყველა თანმდევი პროცესის დასრულებისთანავე; მოქმედი პროგრამების 2 წელიწადში ერთხელ პროგრამების კომპლექსური მონიროტინგის პროცესში)
პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: პროგრამების ხელმძღვანელები, ფაკულტეტი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საფინანსო სამსახური, ინფრასტრუქტურის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სემესტრის დაწყებამდე პროგრამების მონიროტინგის პროცესში)
პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობა	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დეკანი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
სტუდენტთა სასწავლო საქმიანობა	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამების ხელმძღვანელები
საგანმანათლებლო საქმიანობის შიდამარეგულირებელი ბაზა (ყოველწლიური რევიზიის ფარგლებში და საჭიროებისამებრ)	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იურიდიული სამსახური
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
2. კვლევითი, პრაქტიკური, საზოგადოებრივი, სხვა საქმიანობის (მათ შორის სტუდენტური სერვისების და ხელშეწყობის) შეფასება	
კვლევითი, პრაქტიკური, საზოგადოებრივი, სხვა საქმიანობა	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: კვლევების ცენტრი, მეწარმეობის ცენტრი, განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, მარკეტინგის სამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
სტუდენტური სერვისები	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, ბიბლიოთეკის სამსახური, კარიერული განვითარების ცენტრი, განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფაკულტეტის დეკანი
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
პერსონალის შეფასება	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი, კვლევების ცენტრი
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა. მათ შორის, გამოკითხვები:	
სტუდენტები	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ფაკულტეტი, კარიერული განვითარების ცენტრი, განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, მეწარმეობის ცენტრი, სხვ. (კომპეტენციის ფარგლებში)

კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
პროგრამების განმახორციელებლები	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კვლევების ცენტრი, ფაკულტეტის დეკანი
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
პარტნიორი ორგანიზაციები: პოტენციური დამსაქმებლები; უცრუეთის უსდ-ები/ ორგანიზაციები)	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: კარიერული განვითარების ცენტრი, დეკანი, მეწარმეობის ცენტრი, განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფაკულტეტი
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
კურსდამთავრებულები	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: კარიერული განვითარების ცენტრი, განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, მეწარმეობის ცენტრი,ფაკულტეტი
რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე კონტროლი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან აღნიშნულისთვის დადგენილ ვადაში	
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
კონტროლი რეკომენდაციების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	
დაინტერესებული მხარეების განცხადებები	შესასწავლო ასპექტის შესაბამისად: ფაკულტეტს დეკანი (სტუდენტების შემთხვევაში); ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (პერსონალის შემთხვევაში); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (წესების შესრულებასთან და განათლების ხარისხთან დაკავშირებულ შემთხვევებში), იურიდიული სამსახური (უფლებების დარღვევებთან დაკავშირებულ შემთხვევებში)
კონტროლი მიღებული გადაწყვეტილების შესრულებით მიღებულ შედეგზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მომდევნო გეგმიური მონიტორინგის პროცესში ან ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის დადგენილ ვადაში)	

III. ხარისხის გარე და შიდა შემოწმება

გარე შემოწმება

1. <u>აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა</u> - 2025 წელს ბტუ-ში წარმატებით დასრულდა ახალი საბაკალავრო პროგრამის „ფსიქოლოგია ციფრულ სამყაროში“ და მარკეტინგის სფეროს (041 კლასტერი) 2 ახალი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი - სამივე პროგრამის შემთხვევაში წარმოება დასრულებულია - ექსპერტთა ჯგუფებმა შეისწავლეს ბტუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საკითხები განხილულია აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, შეფასებები დადებითია, ყველა პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის დადასტურებით). ამ ეტაპზე მიმდინარეობს 061 კლასტერის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი (ამ ეტაპზე განხორციელდა ექსპერტთა სააკრედიტაციო ვიზიტი და მიღებულია დადებითი დასკვნა, რომელიც სამივე პროგრამის შემთხვევაში ქმნის აკრედიტაციის მიღების დასაბუთებულ მოლოდინს, 23 დეკემბერს განხორციელდება აკრედიტაციის საბჭოს სხდომა). ასევე, 2025 წელს დასრულდა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების (საბაკალავრო პროგრამები: „ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)“, „ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)“, „ციფრული მარკეტინგი“) შესრულების შემოწმების პროცესი - სამივე პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების მიერ ესწავლილ იქნა რეკომენდაციების შესრიულების ანგარიშები და თანდართული დოკუმენტები, წარმოება დასრულებულია, რეკომენდაციების შესრულება დადასტურებულია.
2. <u>ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა</u> - ასევე, 2025 წელს განხორციელდა ბტუ-ს ინსტიტუციური შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების ჭრილში - შეფასება განხორციელდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის პროცესიში - გარე ექსერტების დასკვნით ბტუ სრულად პასუხობს მოთხოვნებს (მზად არის მიიღოს 11000 სტუდენტი), ასევე, ბტუ-ში საქმიანობის გარკვეული ასპექტები, ექსპერტთა აზრით, „საუკეთეო პრაქტიკას“ წარმოადგენს. (ავტორიზაციის საბჭოს მიერ საკითხის განხილვის ეტაპზე მიმდინარე პროცესი შეჩერებულია საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის გათვალისწინებით).

შიდა შემოწმება

შეფასების კრიტერიუმები

- მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმი (მაგ., ვადების დაცვა, საქმიანობის მასშტაბი, აქტივობის თავისებულებების გათვალისწინება, დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება, სხვ.);
- მაქსიმუმის/მინიმუმის (საკმარისობის) კრიტერიუმები (მაგ., მონაწილეთა რაოდენობა, დაფინანსების, ადმინისტრაციული, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა, სხვ.);
- უპირატესობის კრიტერიუმი (გამოიყენება შეფარდებითი შეფასებებისათვის. მაგ., ბტუ-ს განვითარებისთვის მნიშვნელობა, საზოგადოებრივი და/ან საერთაშორისო მნიშვნელობა, სხვ.).

შემოწმებემის ძირითადი სისტემური ასპექტები

- ეკონომიკური ასპექტი - მოიაზრება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვისთვის აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსების არსებობა, მათი მართებულად და ოპტიმალურად გამოყენებია;

- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა - მოიაზრება საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის აუცილებელი ფინანსური, მატერიალური, ადამიანური, მეთოდოლოგიული და სხვა აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფა, საქმიანობის სამართლებრივი და საორგანიზაციო უზრუნველყოფა, საქმიანობის ხარისხი და ეფექტიანობა, ამ საქმიანობისადმი დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულება და მათ მოლოდინებთან ბტუ-ს საქმიანობის თანხვედრა, ბტუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელების ხარისხი, სწავლების სუბიექტთა განათლების ხარისხი და სხვა;
- პედაგოგიური ასპექტი - მოიაზრება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა კვალიფიკაცია პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები, პროფესიონალური კომპეტენტურობა და სხვ.;
- სოციალური ასპექტი და გარემო - მოიაზრება ბტუ-ს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბტუ-ში არსებული „ფიზიკური გარემო“ და სოციალური პირობები, სწავლების სუბიექტების განათლების ხარისხი, მათ განვითარებაზე მიმართული საქმიანობა, ბტუ-ში არსებული სოციალური და სხვა ხელშეწყობის პროგრამები/მექანიზმები;
- მმართველობითი აპექტი - მოიაზრება ძირითადი (საგანმანათლებლო და კვლევითი) პროცესის, დამხმარე (საინფორმაციო, მეთოდური, მატერიალურ-ტექნიკური, სხვ.) პროცესების და მათი უზრუნველყოფის შეფასება, ბტუ-ს საქმიანობის სამართლებრივი და საორგანიზაციო უზრუნველყოფა, ბტუ-ს საქმიანობის საერთო შედეგები, ბტუ-ში მართვის სისტემის ეფექტიანობის კონტროლი და შეფასება, ფინანსური მდგომარეობა (მდგრადობა), ბტუ-ს ხარისხის მართვის სისტემა და სხვა.

შიდა შემოწმების მონაწილეები, კომპონენტები და პერიოდულობა

შიდა შემოწმების პერიოდულობა. შიდა შემოწნებების სახეობა და პერიოდულობა განსაზღვრულია ბტუ-ში მოქმედი დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“. საანგარიშო პერიოდში ბტუ-ში შეჯამდა 2024 წლის ყოველწლიური თვითშეფასება, რომელიც მოიცავდა ბტუ-ს საქმიანობის შეფასებას ინსტიტუციურ დონეზე და სტრუქტურული ერთეულების დონეზე და ჩატარდა გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების ფორმატში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2025 წლის ყოველწლიური თვითშეფასება, რომელიც ასევე ეყრდნობა ბტუ-ს საქმიანობის შეფასებას ინსტიტუციურ დონეზე და სტრუქტურული ერთეულების დონეზე და ჩატარდა გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების შედეგებს. 2025 წლის არაგეგმიური შემოწმების მიზანი იყო ბტუ-ს არსებული შესაძლებლობების შესწავლა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების (მოიაზრება მარკეტინგის სფეროს 2 სამაგისტრო პროგრამა) განხორციელებისა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის დადგენის მიზნით, რაც გულისხმობდა ბტუ-ს ინსტიტუციურ დონეზე შემოწმებას, სტანდარტებთან ბტუ-ს საქმიანობის და რესურსების შესაბამისობის დადგენას. გეგმიური შემოწმების მიზანი იყო ბტუ-ს სტაბილური ფუნქციონირების შენარჩუნების, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ასევე, შეფასების შემადგენელი ნაწილია ბტუ-ში განხორციელებული გარე შეფასებების შედეგები. შესაბამისად თვითშეფასებამ მოიცვა როგორც შიდა, ისე გარე შემოწმებები და როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური შემოწმების შედეგები, ასევე ბტუ-ში ჩატარებული სტუდენტთა, დამსაქმებელთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვებისა და სტრუქტურული ერთეულების შემოწმების შედეგები და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები. გარდა ზემოთ მითითებულისა, საანგარიშო პერიოდში შეჯამდა 2019-2025 წლის განვითარების სტრატეგიის და გეგმების შესრულების შესწავლა, რაც იყო გამოყენებული 2026-2032 წლების განვითარების სტრატეგიის და გეგმების შემუშავების მიზნით - საწყის ეტაპზე შემუშავდა დოკუმენტი „ინფორმაცია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიისთვის (2026-2032)“ - დოკუმენტი იყო მომზადებული ბტუ-ს სტრუქტურული ერთეულების მიერ ბტუ-ს არაგეგმიური შეფასების შედეგად და იყო გამოყენებული მომდევნო პერიოდის (2026-2032) სტრატეგიის შემუშავების პროცესში - დღეისათვის 2026 – 2032 პერიოდის განვითარების სტრატეგიის და მისი განხორციელების გეგმების პროექტები მომზადებულია და საჯარო განხილვის მიზნით განთავსებულია ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/siakhle-biznesisa-da-teqnologiebis-universitetis-proeqtebi-ganvitharebis-strategia-2026-2032-ganvitharebis-strategiuli-da-samoqmedo-gegmebi-2026-2032/). საანგარიშო პერიოდში მომზადებული დოკუმენტები, რომლებიც არ შეიცავდნენ არასაჯარო ინფორმაციას, განთთავსებულის ბტუ-ს ოფიციალური ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/), ხოლო დოკუმენტები შეიცავენ არასაჯარო ინფორმაციას, არ ექვემდებარება სხვა მხარეებზე გადაცემას ბტუ-ს რექტორის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე.

შიდა შემოწმების პროცესის მონაწილეები: გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა, შემოწმების პროცესში მონაწილეობდნენ ყველა სტრუქტურული ერთეული (კომოეტენციის ფარგლებში), პროგრამების განხორციელების შეფასების პროცესში - ასეცე, აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი, პროგრამების ხელმძღვანელები,

შემოწმების კომპონენტები და შეფასების სქემა: საანგარიშო პერიოდში ბტუ-ში ჩატარდა ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგი (წლის განმავლობაში 2-ჯერ), რომელიც მოიცავდა ბტუ-ს საქმიანობის შეფასებას ინსტიტუციურ დონეზე და სტრუქტურული ერთეულების დონეზე და არაგეგმიური შემოწმება, რაც გულისხმობდა ბტუ-ს ინსტიტუციურ დონეზე დამატებით შემოწმებას, სტანდარტებთან ბტუ-ს საქმიანობის და რესურსების შესაბამისობის დადგენას. ასევე, საანგარიშო პერიოდში შემოწმებას დაექვემდებარა: ბტუ-ში მოქმედი ბტუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტები და მოქმედი ფორმები, განხორციელდა ბტუ-ს საქმიანობის რისკების შეფასება, ავრტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, პერსონალის რაოდენობის შეფასება სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებაში, განვითარების 2025 წლის გეგმის შესრულება (კვარტალურად) და სხვ. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმება განხორციელდა საანგარიშო პერიოდში 2-ჯერ (შესაბამისი სემესტრების დაწყებამდე), ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ბტუ-ში მოქმედი კურიკულუმის და სილაბუსის შემოწმების ფორმები. ასევე, პროგრამები შეფასდა რაოდენობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით (პროგრამების მოთხოვნადობა, პროგრამების სტუდენტთა კონტინგენტის დინამიკა და ა.შ.).

საგანი (ობიექტი)	შინაარსი	პერიოდულობა
ბტუ-ს ინსტიტუციური შეფასება		
ზოგადი მაჩვენებლები	ინფორმაციის შეგროვება ბტუ-ში არსებული ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური და ბიბლიოთეკის რესურსების მდგომარეობის, საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის, პროგრამების განმახორციელებელთა და სტუდენტთა კონტინგენტის ცვლილებების დინამიკის შესახებ. იყო გამოყენებული: ვიზუალური დათვალიერება; მარეგულირებელ დოკუმენტებთან/ინსტრუქციებთან შედარება; სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვა და ზეპირი გასაუბრება	2-ჯერ, გეგმიურად - პროგრამების სემესტრული შეფასებისას; არაგეგმიურად - ახალი პროგრამების და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნებისათვის
სტრუქტურული ერთეულების	სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის, პერსონალის და ხელმძღვანელის კომპეტენტურობის, ხელმძღვანელის მმართველობითი უნარების, საქმის სწორად	2-ჯერ - გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში

ფუნქციონირება	დაგეგმვა და დროის მართვა, საქმიანობის ეფექტიანობის დადგენა, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში). შეფასება. იყო გამოყენებული: ინფორმაციის შესწავლა, მათ შორის სტუდენტების და პერსონალის, სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების გამოკითხვა/ ზეპირი გასაუბრება; სტრუქტურულ ერთეულებში ბტუ-ს მართვის ორგანოების (სუბიექტების) დადგენილებების/გადაწყვეტილების სრულად და დროულად შესრულების, სტრუქტურული ერთეულის გამართული მუშაობის/არსებული პრობლემების შესწავლა	
ბტუ-ს მართვა	ბტუ-ს მართვის ეფექტიანობის, გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობის, ობიექტურობის და გამჭვირვალობის დადგენა იყო გამოყენებული: ინფორმაციის შესწავლა, მათ შორის, არსებული დოკუმენტების შინაარსის შესწავლა, სტუდენტთა, ლექტორთა, ბტუ-ს თანამშრომელთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სტრუქტურულ ერთეულებში დადგენილებების/გადაწყვეტილების სრულად და დროულად შესრულება	ერთხელ, გეგმიურად - ბტუ-ს ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში; არაგეგმიურად - სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნისთვის
ბტუ-ს საქმიანობის შიდანორმატიული ბაზა	მოქმედ კანონმდებლობასთან შიდანორმატიული მარეგულირებელი ბაზის (ნორმატიული, მეთოდოლოგიური, სხვ. დოკუმენტების) კანონმდებლობასთან შესაბამისობის, რელევანტურობის და საკმარისობის დადგენა. იყოს გამოყენებული: საკანონმდებლო ბაზასთან შედარება და შიდა მარეგულირებები დებულებების/წესების რევიზია; სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოსაზრებების შესწავლა	ერთხელ; ასევე, საჭიროებისამებრ
განვითარების სტრატეგიის შესრულება	2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი	4-ჯერ კვატალურად, გეგმიურად
კვლევითი საქმიანობა, სტუდენტთა ხელშეწყობის პროექტები		
ბტუ-ს აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა საქმიანობა	ინფორმაცია ნაშრომებში/ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ, ინფორმაცია ნაშრომების/სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ; ინფორმაცია ნაშრომების/პროექტების შედეგების (ფორმალიზებული ნაშრომების) შესახებ; ინფორმაცია საქმიანობის დაფინანსებისა და ადმინისტრაციული, საინფორმაციო-საორგანიზაციო ხელშეწყობის საკმარისობის შესახებ. სტუდენტთა, ლექტორთა, ბტუ-ს თანამშრომელთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება	ერთხელ, გეგმიურად - ბტუ-ს ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში; არაგეგმიურად - ახალი პროგრამების და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნებისათვის
საგანმანათლებლო საქმიანობა		
საგანმანათლებლო პროცესი და პროგრამების ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები	ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ; ინფორმაცია სტუდენტთა მოლოდინებისა და მოსაზრებების შესახებ; ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებლების მოსაზრებების შესახებ; ინფორმაცია პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა; პროგრამის განმახორციელებლები და მათი კვალიფიკაცია; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა; სწავლა-სწავლების პროცესის თანამდევი ასპექტები (მეცადინეობების, კონსულტაციების, გამოცდების ორგანიზება, სხვ.); ინფორმაცია სტუდენტთა მოლოდინებისა და მოსაზრებების შესახებ; ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებლების მოზასრებების შესახებ; სწავლა-სწავლების პროცესის ანალიზი; პროგრამების განმახორციელებლების საქმიანობის შეფასება და ანალიზი; საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილის მოსაზრებების ანალიზი.	2-ჯერ, გეგმიურად. ასევე, საკითხის სპეციფიკის შესაბამისად; არაგეგმიურად - ახალი პროგრამების მიზნებისათვის
სასწავლო პროცესის და დამხმარე პროცესების ორგანიზება	აკადემიური კალენდრის, მეცადინეობების/კონსულტაციების/სხვ. ცხრილების და სტუდენტთა საკონტაქტო დატვირთვის განაწილების რელევანტურობის, სტუდეტთა საინფორმაციო, აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობის შესწავლა, და/ან სხვ. (საჭიროების შემთხვევაში). იყო გამოყენებული: დოკუმენტების შინაარსობრივი/ ტექნიკური მხარის შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ, გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება	2-ჯერ, გეგმიურად (სემესტრულად)
სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა	ინფორმაციის შეგროვება სასწავლო პროცესის სასწავლო, მეთოდური, აუდიოვიდეო მასალით, სხვ. უზრუნველყოფის, საკმარისობის და ხელმისაწვდომობის შესახებ. იყო გამოყენებული: ინფორმაციის შესწავლა; ვიზუალური დათვალიერება; პროგრამის კომპონენტების სილაბუსებთან თანხვედის შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ. გამოკითხვა/ ზეპირი გასაუბრება	2-ჯერ, გეგმიურად (სემესტრულად); არაგეგმიურად - ახალი პროგრამების და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნებისათვის
საგანმანათლებლო პროგრამები	პროგრამების კანონმდებლობასთან, საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, სტუდენტთა შეფასების სისტემის გამჭვირვალობის და კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა, სხვა (საჭიროების შემთხვევაში). იყო გამოყენებული: პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების შინაარსობრივი და ტექნიკური რევიზია; სტუდენტთა, ლექტორთა, პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა, რიგ შემთხვევაში - ზეპირი გასაუბრება	ერთხელ. ასევე, საკითხის სპეციფიკის შესაბამისად; არაგეგმიურად - ახალი პროგრამების მიზნებისათვის
პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი რესურსებით უზ-	ინფორმაციის შესწავლა პროგრამის ადამიანური რესურსის (შემადგენლობა, კვალიფიკაცია, რაოდენობის საკმარისობა), ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (რელევანტურობა, საკმარისობა, მოთხოვნებთან შესაბამისო-	2-ჯერ - ასევე, საკითხის სპეციფიკის შესაბამისად; არაგეგმიურად - ახალი პროგრა-

რუნველყოფა	ბა) შესახებ. იყო გამოყენებული: მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ვიზუალური დათვალიერება და მუშა მდგომარეობის შემოწმება; ფინანსური რესურსების საკმარისობა; ლექტორთა პირადი საქმეების შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა, სხვ. გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება	მების და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნებისათვის
პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობა	ინფორმაციის შეგროვება-შესწავლა განმახორციელებელთა კომპეტენტურობის, პედაგოგიური უნარების და სხვ. შესახებ; განმახორციელებელთა რაოდენობის საკმარისობის, მათი საკონტაქტო დატვირთვის, სტუდენტებთან მუშაობის (კონსულტაციები, შეფასებების განხილვა, სხვ.) შესახებ. იყო გამოყენებული: ინფორმაციის შესწავლა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (შუალედური და დასკვნითი შეფასებების) შესწავლა; სტუდენტთა, ლექტორთა გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება.	2-ჯერ, გეგმიურად (სემესტრულად); არაგეგმიურად - ახალი პროგრამების და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნებისათვის
სტუდენტთა სასწავლო საქმიანობა	სტუდენტთა კომპეტენციების დონე; სტუდენტთა სასწალო საქმიანობის საკმარისობა, და/ან სხვა (საჭიროების შემთხვევაში). იყო გამოყენებული: ინფორმაციის (მათ შორის, განცხადებების/ინიციატივების) შესწავლა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (შუალედური და დასკვნითი შეფასებების) შესწავლა; გამოკითხვა/ზეპირი გასაუბრება; სხვ.	2-ჯერ (სემესტრულად)
ინტერნაციონალიზაცია	გაცვლითი პროგრამების როდენობა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა	ერთხელ, გეგმიურად - ბტუ-ს ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში; არაგეგმიურად - ახალი პროგრამების და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნებისათვის
საგანმანათლებლო საქმიანობის შიდანორმატიული ბაზა	მოქმედ კანონმდებლობასთან შიდანორმატიული მარეგულირებელი ბაზის შესაბამისობის დადგენა, ბტუ-ს შიდანორმატიული ბაზის საკმარისობის დადგენა. იყო გამოყენებული: საკანონმდებლო ბაზასთან შედარება და შიდა მარეგულირებები დებულებების/წესების რევიზია	ერთხელ, გეგმიურად; ასევე, საჭიროებისამებრ

საგანმანათლებლო საქმიანობის შემოწმების კომპონენტები (მონიტორინგის ობიექტები) იყო

მონიტორინგის კომპონენტი	მონიტორინგის მეთოდები, მიმართულებები
საგანმანათლებლო პროცესის შედეგიანობა	სტუდენტის შეუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის გამოყენებული დავალებები, საგამოცდო საკითხები, სხვ.; ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ; ინფორმაცია სტუდენტთა მოლოდინებისა და მოსაზრებების შესახებ; ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებლების მოსაზრებების შესახებ; ინფორმაცია პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების შესახებ; პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა და კურსდამთავრებულთა თანაფარდობა; პროგრამის მოთხოვნადობა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა, სხვ.
პროგრამების განმახორციელებლების და სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სტრუქტურირება	პროგრამის განმახორციელებლები და მათი კვალიფიკაცია; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო პროცესის შედეგიანობა; მეთოდური საქმიანობა; სწავლა-სწავლების პროცესის თანამდევი ასპექტები (მეცადინეობების, კონსულტაციების, გამოცდების ორგანიზება, სხვ.); ინფორმაცია სტუდენტთა მოლოდინებისა და მოსაზრებების შესახებ; ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებლების მოსაზრებების შესახებ და სხვ.
მოდელი „დასაწყისი-დასასრული“	ჩარიცხულ აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის და დოქტორანტობის კანდიდატთა მომზადების დონე (მაგ., ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების, გასაუბრებების შედეგები); კურსდამთავრებულთა მოდელი (პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგები, პოტენციურ დამსაქმებელთა მოლოდინები, სტუდენტთა მოლოდინები, კურსდამთავრებულთა მოსაზრებები, სხვ.) და სხვ.
საგანმანათლებლო, უზრუნველყოფის და დამხმარე პროცესები	საგანმანათლებლო, უზრუნველყოფის, დამხმარე პროცესების მონიტორინგი; სწავლა-სწავლების პროცესის ანალიზი; პროგრამების განმახორციელებლების საქმიანობის შეფასება-ანალიზი; საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეების მოთხოვნების დინამიკის ანალიზი, სხვ.

შიდა შეფასების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა გამოკითხვები/მათთან გასაუბრებები: დაინტერესებულ მხარეთა დამოკიდებულებების შესწავლას და პირველადი რეკომენდაციების შემუშავებას უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები (მაგ., ბტუ-ში დასაქმებულ პირთა გამოკითხვის შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკითასთან დაკავშირებით - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ა.შ.). გასაუბრებების და გამოკითხვის შედეგებს შეისწავლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საჭიროების შემთხვევაში ყველა/ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულთან ერთად. ყველა სამსახური მოქმედებს „PDCA“ პრინციპით: დგინდება ასპექტები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას დაინტერესებულ მხარეთა/პირთა მოთხოვნების და მოლოდინების და ბტუ-ს პოლიტიკის შესაბამისად; ხდება შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა; მიმდინარეობს პროცესების მუდმივი კონტროლი და გაზომვა პოლიტიკის, მიზნების და დაინტერესებულ მხარეთა/პირთა მოთხოვნების შესაბამისად; პროცესების მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის მუდმივი მოქმედებები (კონტროლი, შესაბამისი აქტივობები, უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებთან, განხორციელებული აქტივობების შედეგების და ეფექტიანობის შესწავლა და სხვ.

ბტუ-ს მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების რელევანტურობა და საკმარისობა: მოქმედი წესების შესაბამისად, 2025 წელს ჩატარდა ბტუ-ს შიდა მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების გეგმიური რევიზია - გადაიხედა შემოწ-

მების მომენტისთვის მოქმედი ყველა ფუნდამენტური, შიდა ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტი და ფორმები. შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ ბტუ-ს საქმიანობის შიდა მომწესრიგებელი ბაზა საკმარისია და დოკუმენტების უმეტესობა არსებით ცვლილებებს არ საჭიროებს. რიგ შემთხვევაში დოკუმენტებში შევიდა დაზუსტებები/ტექნიკური ცვლილებები, რამაც არ გამოიწვია დოკუმენტის ახალი ვერსიის დამტკიცების საჭიროება. 2025 წლის განმავლობაში, შესაბამისი აუცილებლობის დადგომისას, შემუშავდა ახალი დოკუმენტები ან არსებულ დოკუმენტებში შევიდა ცვლილებები და ეს დოკუმენტები (მაგ., „დოქტორანტურის დებულება“) დამტკიცდა ახალი რედაქციით/ვერსით. ბტუ-ს ყველა დოკუმენტი და ფორმა სათანადო წესით აღრიცხულია ბტუ-ს დოკუმენტების ნომენკლატურაში, რომელშიც მითითებულია დამტკიცების თარიღი და შესული ცვლილებები. დღეისათვის მოქმედი დოკუმენტები არის რელევანტური, სრულად არეგულირებს ბტუ-ს საქმიანობის ყველა ასპექტს. ბტუ-ს უველა სტრატეგიული, ფუნდამენტური, შიდანორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტი (მოქმედი სრული ვერსიები) განთავსებულია ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/chven-shesakheb/maregulirebeli-dokument/) და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

წინასაანგარიშო პერიოდის (2024) რეკომენდაციების შესრულების შესახებ

2024 წელს 2025 წლისთვის გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებულია, მცირე რაოდენობა კი შესრულების მიუხედავად საჭიროებს შემდგომ პერიოდში გარკვეულწილად გაუმჯობესებას, კერძოდ:

ასპექტი	შედეგი	
	დადებითი და შესანარჩუნებელია	საჭიროებს შემდგომ განვითარებას
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, მათ შორის უცხოეთის პარტნიორებთან სამეცნიერო კავშირების გამოყენების გაძლიერება ერთობლივი კვლევების განხორციელების მიმართულებით - საერთო კვლევითი ინტერესების იდენტიფიცირება, ერთობლივი კვლევების დაგეგმვა-განხორციელება, მათ შორის ბტუ-ს და პარტნიორი უსდ-ების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის კონსოლიდირება.		☒
საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების გზით ბტუ-ს სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერება, ამ საქმიანობაში ჩართულობით დაინტერესების ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა-გამოყენება, პიროვნული შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.	☒	
აკადემიური პერსონალის ინტერესების სფეროების იდენტიფიცირება ბტუ-ს საქმიანობაში და პროექტებში ჩართულობით მიზნით.	☒	
ბტუ-ში მიმდინარე კვლევებში სტუდენტების ჩართვა, ხელშემწყობი ფაქტორების (მათ შორის, სტუდენტების ინტერესების) შესწავლა.		☒
განხორციელებული კვლევების შედეგების სწავლებაში დანერგვის პროცესის ადმინისტრირების სრულყოფა.	☒	
ბტუ-ს კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	
აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის რეიტინგი	☒	
სტუდენტთა სამეცნიერო, კვლევითი აქტივობის რეიტინგი		☒
სასწავლო პროცესში კვლევის შედეგების იმპლემენტაცია	☒	
2025 წელს აკრედიტაციაზე წარსადგენი პროგრამების თვითშეფასების პროვესის ოპრიმალურად დაგეგმვა.	☒	
კლასტერული აკრედიტაციის (041) პროცესში მიღებული რეკომენდაციები *(შენიშვნა: აქვთ სავალდებულო ხასიათი)*	☒	

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წელს გაცემული 11 რეკომენდაციიდან: შესრულებულია 8 რეკომენდაცია (რეკომენდაციების 73%); აქტუალური რჩება 3 რეკომენდაცია (გაცემული რეკომენდაციების 27%); არ არის შესრულებული - 0 %. გარე შეფასების (კლასტერული აკრედიტაციის - 041) პროცესში მიღებული ყველა სავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია შესრულებულია 100%-ით (რეკომენდაციების შესრულება დადასტურებულია ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ).

IV. 2025 წლის SWOT-ანალიზი

2025 წლის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს როგორც ძლიერი, ისე გარე და შიდა ფაქტორებით გამოწვეული გასაუმჯობესებელი ასპექტები, საიდანაც ნაწილი არის 2024 წლის შედეგების ანალოგიური, ნაწილის აქტუალობა კი 2025 წელს გამოიკვეთა, მათ შორის ძირითადს წარმოადგენს:

ძლიერი მხარეები, მათ შორის:
▪ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა (მათ შორის: ავტორიზაცია, აკრედიტაცია); ▪ სიახლეებისადმი ღიაობა და ინოვაციურობა, კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლიანობა; ▪ ბტუ-ს მზარდი ავტორიტეტი, რეპუტაცია, პოზიტიური იმიჯი და კონკურენტუნარიანობა; ▪ ბტუ-ს თანასაზოგადოების მიერ გაზიარებული მისია, ხედვა, პრიორიტეტები, მიდგომები ხარისხისადმი, კორპორაციული კულტურის, ეთიკის და აკადემიური ეთიკის პრინციპები; ბტუ-ს საქმიანი ურთიერთობების ეთიკა, საქმიანობის გამჭვირვალობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სოციალური პასუხისმგებლობა; ▪ ბტუ-ს სტაბილური, თანმიმდევრული განვითარების მაღალი ტემპი, გამოწვევებზე ოპერატიულად და რელევანტურად რეაგირება, ბიზნეს-უწყვეტობა, ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის გამართული სისტემა და ბტუ-ში დანერგილი ხარისხის კულტურა; ბტუ-ს ინსტიტუციური, მათ შორის ფინანსური, მდგრადობა; ბტუ-ს ფუნქციონირების, დაგეგმილი მიზნების მიღწევისა და განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების არსებობა და შემდგომში თანმიმდევრულად გაუმჯობესების შესაძლებლობა; ▪ ბტუ-ს მკაფიო სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობა; მართვის გამჭვირვალე მეთოდები. ბტუ-ს მართვაში და სხვადასხვა კომისიაში პერსონალის და სტუდენტების ჩართულობა; პერსონალის კონტინგენტის სტაბილურობა, პერ-

სონალის განვითარების ხელშეწყობა, სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კონტინგენტიდან საკუთარი ახალგაზრდა პერსონალის აღზრდის და დასაქმების პოლიტიკა, საგანმანათლებლო რესურსებთან და სტუდენტურ სერვისებთან შეუფერხებელი დისტანციური წვდომა, სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა და ორგანიზება; ▪ პოზიტიური უსაფრთხო გარემო, სწავლისა და შრომისათვის შექმნილი უსაფრთხო და კეთილმოწყობილი „ფიზიკური გარემო“. შრომითი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სათანადო უზრუნველყოფა; სწავლების სუბიექტზე ორიენტირებული გარემო, მათი ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინება, განათლების მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისები, სოციალური მხარდაჭერის და წახალისების მექანიზმები; ▪ ერთიანი საინფორმაციო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო და ავტომატიზირებული სასწავლო პროცესის მართვის სისტემები, ქართულ და ინგლისურენოვანი ვებგვერდი. მართვაში, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება; საგანმანათლებლო საქმიანობაში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა. სასწავლო პროცესის მონაწილეებს შორის კომუნიკაციის და უკუკავშირის გამართული მექანიზმი, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, საინფორმაციო რესურსებთან და საჯარო ინფორმაციასთან წვდომა; ▪ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და ბტუ-ს პერსონალის პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა და ინოვაციურობის ხარისხი, უწყვეტი განათლების პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა, სტუდენტებისა და პერსონალი სოციალური დახმარების და მხარდაჭერის გამჭვირვალე სისტემა, ბტუ-ს ხელშეწყობით დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი და მისი სტაბილური ზრდა; ▪ აქტუალური თეორიული ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირებისა და ცოდნის გავრცელების შესაძლებლობა, მათ შორის სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის მზარდი მხარდაჭერა; მზარდი სამეცნიერო კვლევითი ბაზა; აკრედიტებული თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამები - ბიზნესისა და ტექნოლოგიების სინერგია, ინოვაციებზე ორიენტირი და როგორც შედეგი - ბტუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოება: საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის ზრდა და პოპულარობა, ბტუ-ს საგანმანათლებლო პროდუქტზე მზარდი მოთხოვნადობა: სტუდენტთა კონტინგენტის სტაბილური ზრდა; ▪ სტუდენტებისთვის შეთავაზებული ექსტრაკურიკულური აქტივობების ხარისხი, უნიკალურობა, სიმრავლე და ინოვაციურობა, სტუდენტთა პოტენციალის რეალიზების, დასაქმების, უწყვეტი განათლების, კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად ეტაპობრივად, უფრო კომპლექსურ და მაღალანაზღაურებად ტექნოლოგიურ პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა; ▪ უწყვეტი განათლების მიღების ხელშეწყობა - უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში ბტუ-ს ყველა კურსდამთავრებულისთვის შექმნილი შესაძლებლობა აირჩიოს და ანაზღაურების გარეშე შეისწავლოს ნებისმიერი მისთვის საინტერესო სასწავლო კურს(ებ)ი (შესარჩევი სასწავლო კურსების რაოდენობა შეზღუდული არ არის და ამ შესაძლებლობით სარგებლობა დამოკიდებულია მხოლოდ ბტუ-ს კურსდამთავრებულის სურვილზე); ▪ ბტუ-ს საზოგადოებრივი საქმიანობა და რეგიონის ცხოვრებაში ჩართულობა. საზოგადოებრივი, სოციალური მნიშვნელობის, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა და განხორციელება; აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან; საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დარგობრივ სივრცეში ინტეგრირება; პარტნიორების (მათ შორის, უცხოეთის უსდ-ების და დარგობრივი ორგანიზაციების) მზარდი რიცხვი და ბტუ-ს მხარდამჭერი ორგანიზაციების გავლენა მსოფლიოში შესაბამის ინდუსტრიებზე; ▪ ბტუ-ს განვითარების მკაფიო, რეალისტური ხედვა და დასაბუთებული, ობიექტური შესალებლობა, რომლის საფუძველს წარმოადგენს წინა საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგები და გარე შეფასების (მათ შორის, ავტორიზაცია, აკრედიტაცია) პროცესში ბტუ-ს მიდგომების „საუკეთესო პრაქტიკად“ აღიარება.
გასაუმჯობესებელი / სუსტი მხარეები, მათ შორის:
▪ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში, მათ შორის სხვადასხვა პროექტებში და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი; ▪ სტრუქტურული ერთეულების მიერ თვითშეფასების მექანიზმის გამოყენების ეფექტიანობა; ▪ სამეცნიერო-კვლევით საქმიანიბაში აკადემიური პერსონალის (ნაწილის) ჩართულობის მაჩვენებელი. აკადემიური პერსონალის ნაწილის პასიურობა, რიგ შემთხვევაში ფორმალური მიდგომა, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მიმართულებით; ▪ აკადემიური პერსონალის საქმიანობის (მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის/ეფექტიანობის შეფასების) შედეგების გამოყენება; ▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია - უცხოეთის პარტნიორებთან სამეცნიერო კავშირების გამოყენება ბტუ-ს და პარტნიორი უსდ-ების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის კონსოლიდირებისა და ერთობლივი კვლევების დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით.
შესაძლებლობები, მათ შორის:
▪ ბტუ-ს შემდგომი თანმიმდევრული განვითარება და ეკონომიკური ზრდა; სტუდენტთა რაოდენობის პროგნოზირებადი სტაბილური ზრდა; საკუთარი მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების არსებობა, ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების, ერთიანი საინფორმაციო სივრცის თანმიმდევრული სტაბილური განვითარება; ბტუ-ს ბიზნეს-უწყვეტობა და კონკურენტუნარიანობა, საზოგადოების და ბტუ-ს პარტნიორების ნდობა ბტუ-ს მიმართ, მისი რეპუტაციის და დადებითი იმიჯის გამყარება; ▪ ბტუ-ს მართვის სისტემის და საორგანიზაციო სტრუქტურის შემდგომი განვითარება, ხარისხის მართვის სისტემის მეშვეობით ბტუ-ს საქმიანობის ყველა ასპექტის (ძირითადი და დამხმარე პროცესების) შესაბამისობის და საკმარისობის შეფასების და მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველყოფა; ▪ პერსონალის კონტინგენტის სტაბილურობის, თაობების უწყვეტობის შენარჩუნება და საკადრო რეზერვის, მათ შორის სტუდენტთა შემადგენლობიდან, შექმნა; ▪ პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებილების ხელშეწყობის და მხარდაჭერის სერვისების, ასევე პროფესიული და პიროვნული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა; შრომის და სწავლის ეფექტიანობის, ასევე ბტუ-ს ცხოვრებაში ჩართულობის მოტივაციის გაზრდა; ▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება; გარე და შიდასაუნივერსიტეტო კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება და ამ საქმიანობის წახალისება; საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო რეფერირებად რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა; ▪ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნირო ღონისძიებებში ბტუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის ხელშეწ-

ყობა; ინსტიტუციური, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების მოწყობა; ▪ უცხოელ პარტნიორ-დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება - თანამედროვე ცოდნის და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების, გაცვლითი პროგრამების განხორციელების, ბტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მათი პერსონალის ჩართულობის ერთობლივი სამეცნიერო და საგანმანეთლებლო პროგრამების/პროექტების/ღონისძიებების ჩატარების და სხვ. მიმართულებით); ▪ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის განვითარება - პროგრამების შემუშავებაში, ხარისხის შეფასებაში ჩართულობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების და ადაპტაციის ხელშეწყობა; ▪ თანამედროვე ტენდენციების, დამსაქმებელთა მოთხოვნების, პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეკომენდაციების, ბტუ-ს საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების გათვალისწინებით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელება. კურსდამთავრებულთა შრომის და საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის და მოთხოვნადობის უზრუნველყოფა; ისეთი გარემოებების გათვალისწინება და დაკმაყოფილება, როგორიცაა, მაგალითად: მსოფლიოში ინოვაციების ხელშემწყობი პროექტებისა და კონკურსების სიმრავლე და მეწარმეობაზე დაფუძნებული სწავლების მზარდი ტენდენცია, ასევე ვირტუალური კომპანიების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც საჭიროებს კადრების შერჩევას მათი კვლიფიკაციის და არა გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, ასევე, პროექტების მზარდი რიცხვი, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ქვეყნებიდან სამუშაო ძალის მოზიდვას; ბტუ-ს პროგრამებთან საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების თვისობრივი სხვაობის შენაჩუნება და ბტუ-ს პროგრამების განხორციელების გზით ახალი სამუშაო ძალის გაჩენა, რომელსაც აქვს ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე პროგნოზირებული მოთხოვნის შესაბამისი აქტუალური პროფესიული, ასევე მენეჯერული და ტექნოლოგიური ცოდნა და უნარები; ბტუ-ში ინოვაციური სტარტაპების სტიმულირება, რომელიც დამოუკიდებლად იმუშავებს ლოკალური და გლობალური პროექტების მოძიებაზე; ▪ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების გაგრძელება, პარტნიორული ურთიერთობების და ინტერნაციონალიზაციის განვითარება მეცნიერების, განათლების, ტექნოლოგიების, ბიზნესის და ბტუ-სთვის სხვა პრიორიტეტულ სფეროებში, ახალი თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება; ▪ ბტუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების პოტენციალის და მათთან თანამშრომლობით შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება.
ძირითადი საფრთხეები, რისკები, მათ შორის:
▪ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და საქართველოში არსებული დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობა, აბიტურიენტთა (ასევე მაგისტრანტურაში და დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა) რიცხვის შემცირება და სხვ.; ▪ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში არსებული მაღალი კონკურენცია და მისი ყოველწლიური ზრდა, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეზღუდვები სხვა უსდ-ში მათი აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის მიმართულებით. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია ციფრული ტექნოლოგიების, ასევე სხვა ცალკეულ სფეროებში, რომლებშიც არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრების ნაკლებობა. ▪ ქვეყანაში შრომის ბაზრის არასაკმარისი განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ მომხმარებელთა ინტერესების ცალკეულ შემთხვეებში ცვლილებების არაპროგნოზირებადი ტენდენციები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარების, მათ შორის უცხოეთის უსდ-ების საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების სწრაფი გაზიარების გარეშე პროგრამების აქტუალობის შემცირება და ამ პროგრამებით დაინტერესების კლება; ▪ პერსონალის მართვის პოლიტიკის არასათანადო გამოყენების შემთხვევაში პერსონალის კონტინგენტის სტაბილურობის დაკარგვა; ▪ პერსონალის თვითგანვითარების არასაკმარისობის შემთხვევაში თანამედროვე მოთხოვნებთან კომპეტენციების შეუსაბამობის, სამსახურებრივი ფუნქციების არასათანადოდ შესრულების პოტენციური რისკის შექმნა, ასევე, სისტემატურად საკუთარი თვითშეფასების გარეშე საქმიანობის სრულყოფის მექანიზმების შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების შეუძლებლობა, როგორც შედეგი - გარკვეული პერიოდის განმავლობაში არაეფექტიანი/ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმების გამოყენების საფრთხე; ▪ მომხმარებელთა ინტერესების ცვალებადობა და დასაბუთებული მსჯელობის შეუძლებლობა იმაზე, თუ რამდენად იქნება მოთხოვნადი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე 2025 წელს აკრედიტებული ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამები (აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში), რომელთა განხორციელების დაწყება 2026 წელს იქნება შესაძლებელი.

მიზანშეწონილია მომდევნო საანგარიშო წელს გაუმჯობესებაზე მიმართული და სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენისას, სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებულ იქნეს როგორც PDCA პრონციპი, ისე SWOT ანალიზში მოცემული ინფორმაცია და სუსტი მხარეების შემცირების/აღმოფხვრის და შესაძლო რისკების შემცირების გზები: შეფასებისას „ძლიერ მხარეებს“ ბტუ მიიჩნევს მის უპირატესობებად/შესანარჩუნებელ გარემოებად, „გასაუმჯობესებელ/სუსტ მხარეებს“ კი იმ გარემოებად, რომლებიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას და SWOT ანალიზის ელემენტებს განიხილავს შემდეგი კომბინაციის სახით: „შესაძლებლობები - ძლიერი მხარეები“ - განაპირობებს არსებული უპირატესობების შენარჩუნების და შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს; „შესაძლებლობები - გასაუმჯობესებელი/სუსტი მხარეები“ - განაპირობებს გასაუმჯობესებელი/სუსტი მხარეების გაძლიერებას/აღმოფხვის შესაძლებლობებს; „საფრთხეები - გასაუმჯობესებელი/სუსტი მხარეები“ - განაპირობებს განვითარების შესაძლო შემაფერხებელ გარემოებებს; „საფრთხეები - ძლიერი მხარეები (უპირატესობები)“ - განაპირობებს ბტუ-ს ძლიერი მხარეების და შიდა რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით საფრთხეების მინიმუმამდე დაყვაბის შესაძლებლობებს.

IV. ძირითადი რეკომენდაციები ბტუ-ს საქმიანობის ხარისხის სრულყოფისათვის

მიუხედავად 2025 წლის პოზოტიური შედეგებისა, 2026 წელს მიზანშეწონილია რამდენიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილება და ამ მიზნით შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

რეკომენდაცია	რეკომენდაციის მიზანი
▪ უცხოეთის პარტნიორებთან სამეცნიერო კავშირების გამოყენების გაძლიერება ერთობლივი კვლევების განხორციელების მიმართულებით - საერთო კვლევითი	▪ ბტუ-ს და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება; ▪ ბტუ-ს ინსტიტუციური განვითარება კვლევითი პოტენციალის შემდ-

ინტერესების იდენტიფიცირება, ერთობლივი კვლევების დაგეგმვა-განხორციელება, მათ შორის ბტუ-ს და პარტნიორი უსდ-ების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის კონსოლიდირება.	გომი გაძლიერების გზით; ▪ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირებით ბტუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, მათ შორის ერთობლივი კვლევების განხორციელების გზით; ▪ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა; ▪ უკვე მიღწეული დადებითი შედეგების შემდგომი განვითარება.
▪ სამეცნიორო-კვლევითი მიმართულებით უცხოურ უსდ-ებთან გაფორმებული მემორანდუმების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა	▪ საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ეფექტიანად გამოყენება; ▪ პარტნიორული ურთიერთობებით შექმნილი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, მათ შორის ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების მიმართულებით.
▪ ბტუ-ში მიმდინარე კვლევებში სტუდენტების ჩართვა, ხელშემწყობი ფაქტორების (მათ შორის, სტუდენტების ინტერესების) შესწავლა და გამოყენება	▪ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის პოპულარიზაცია; ▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართულობით დაინტერესების ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა-გამოყენება; ▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით სტუდენტთა დაინტერესება და ჩართულობის გააქტიურება; ▪ სტუდენტთა კვლევითი ინტერესების რეალიზების ხელშეწყობა.
▪ სტუდენტთა სამეცნიერო, კვლევითი აქტივობის რეიტინგის გამოყენება	▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით სტუდენტთა დაინტერესება; ▪ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის მოტივაციის გაძლიერება და ამ საქმიანობაში ჩართულობის წახალისება.
▪ განხორციელებული კვლევების შედეგების სწავლებაში დანერგვის პროცესის ადმინისტრირების სრულყოფა	▪ ბტუ-ს პერსონალის კვლევების შედეგების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობა და სწავლების/კვლევის პროცესში გამოყენების შესაძლებლობა.
▪ კურსდამთავრებულებთან უკუკავშირის გაძლიერება, ბტუ-ს საქმიანობაში მათი მონაწილეობის წახალისება;	▪ ახალგაზრდა კადრების მოზიდვის პოლიტიკის რეალიზება.
▪ დოქტორანტურის სტანდარტის იმპლემენტაციაზე სისტემატური კონტროლი	▪ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
▪ სტრუქტურული ერთეულების მიერ გეგმიური შიდა მონიტორინგის შედეგების გამოყენება	▪ დარღვევების/გასაუმჯობესებელი გარემოებების დროულად აღმოფხვრა ანდა მინიმუმამდე დაყვანა
▪ სტრუქტურული ერთეულების მიერ თვითშეფასების მექანიზმის გამოყენება	▪ ბტუ-ს მდგრადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა; ▪ დარღვევების/გასაუმჯობესებელი გარემოებების დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების განხორციელება;
▪ 2025 წლის მე-2 გეგმიური მონიტორინგის პროცესში შემუშავებული რეკომენდაციები.	▪ ბტუ-ს მდგრადობის შენარჩუნება; ▪ სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სრულყოფა/განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი: _____ 19.12.2025
თარიღი